20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

26/04/2024 N 197

თბილისი

შპს ,,ეფ აი ელ ქონს 2023“-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის N37/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 30 ივნისის N164/04 ბრძანების საფუძველზე:

1. გაუქმდეს შპს ,,ეფ აი ელ ქონს 2023”-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის (საიდენტიფიკაციო ნომერი 402285941) რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით 0135347, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N86, ქალაქი თბილისი, ქუჩა სანქტ-პეტერბურგი , N1 (ყოფ. N90);
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,შპს ,,ეფ აი ელ ქონს 2023“-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 26 იანვრის N47 განკარგულება;
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ირმა ბოკუჩავა

დეპარტამენტის უფროსი
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი